სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

2020 წლის საქმიანობის ანგარიში

თბილისი

2021

სარჩევი

შესავალი 3
1. სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მაჩვენებლები 5
1.1 გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა და ტიპები 5
1.2 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება და ტენდერების სტატუსები 7
1.3. ეკონომია და პრეტენდენტების რაოდენობები ტენდერებში 18
1.4 სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლები და შესყიდვებში გამარჯვებული მიმწოდებლები 27
1.4.1 არარეზიდენტი მიმწოდებლები 27
1.5 შესყიდვები დონორის სახსრებით - DEP ტენდერები 32
2. სამართლებრივი ბაზის სრულყოფა 34
3. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავები 37
4. ცენტრალიზებული შესყიდვები 41
5. გამარტივებული შესყიდვები 49
6. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და სასამართლო დავები 52
7. „თეთრი სიის“ წარმოება 53
8. „შავი სიის“ წარმოება 54
9. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მონიტორინგი 55
10. ადამიანური რესურსების განვითარება 56
11. მომხმარებელთან საქმიანი კომუნიკაცია 57
12. საერთაშორისო ურთიერთობების ინტენსიფიცირება 58
13. პარტნიორებთან თანამშრომლობა 64

შესავალი

გასული 2020 წლის განმავლობაში სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს (შემდგომში: სააგენტო) უხდებოდა განსაკუთრებით რთული და საპასუხისმგებლო ამოცანების შესრულება, რომელიც საჭიროებდა როგორც საგანგებო ვითარებაში საქმიანობას, ასევე მაღალი პროფესიონალიზმით და კომპეტენციით მრავალი ამოცანის შესრულებას შეზღუდულ ვადებში და ლიმიტირებული რესურსებით.

პანდემიის გამო, 2020 წლის განმავლობაში სააგენტოს წამყვან თანამშრომლებს მოუწიათ მუშაობა სრულიად ახალ და უჩვეულო ვითარებაში - განსაკუთრებული საქმიანი გრაფიკით, უამრავი ახალი და გაუთვალისწინებელი გამოწვევის დაძლევით, საქართველოს მთავრობის მიერ დასმული არაორდინარული ამოცანების სიმრავლის პირობებში, მთავრობის ადმინისტრაციასთან, საკოორდინაციო საბჭოსთან და ოპერაციულ შტაბთან, ასევე სამინისტროებთან და უწყებებთან კოორდინირებული მუშაობის განსხვავებულ რეჟიმში აუცილებლობის გათვალისწინებით. ამ და ბევრმა სხვა ფაქტორმა განაპირობა სააგენტოს გუნდის მუშაობის სრულიად გამორჩეული ტემპი და ინტენსიურობა.

მიმდინარე წელი დატვირთული იყო როგორც პანდემიით გამოწვეული მუშაობის საგანგებო და უჩვეულო რეჟიმით, ასევე უამრავი მიმდინარე და ოპერატიული ამოცანის გადაწყვეტით, გამოირჩეოდა მრავალი რეფორმითა და ახალი მიმართულებების დანერგვით.

პანდემიის მიუხედავად, დადებითი ტენდენციები შეინიშნებოდა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განხორციელებულ შესყიდვებში. სახელდობრ, 3 პროცენტული პუნქტით, 71%-დან - 74%-მდე გაიზარდა იმ ტენდერების რაოდენობა, რომლებზეც დაიდო ხელშეკრულება და შესაბამისად, არ შემდგარი, ურყოფითი შედეგით დასრულებული და შეწყვეტილი ტენდერების რაოდენობამ შეადგინა დასრულებული ტენდერების მხოლოდ 26%.



წარმატებით დასრულებული ტენდერების მსგავსად, ასევე მნიშვნელოვნად - 2.05-დან - 2.27-მდე გაიზარდა ტენდერებში მონაწილე პრეტენდენტების საშუალო რაოდენობის მაჩვენებელი.



აღსანიშნავია, რომ 2019 წელთან შედარებით, 5,332,804,815 ლარიდან - 5,158,143,556 ლარამდე შემცირდა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების საერთო ღირებულება. ხელშეკრულებების ჯამური ღირებულების მცირედი კლება, დიდწილად განაპირობა ქვეყანაში პანდემიისგან გამოწვეულმა ეკონომიკური აქტივობების შემცირებამ. აღნიშნული თანხა, 2020 წლის ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 10.4%-ს შეადგენს.



1. სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მაჩვენებლები

1.1 გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა და ტიპები

2020 წელს საერთო ჯამში გამოცხადდა 25,598 შესყიდვა, სხვადსხვა ელექტრონული პროცედურის[1] მეშვეობით. როგორც N1 დიაგრამაზეა ნაჩვენები, ყველაზე ხშირად შემსყიდველი ორგანიზაციები იყენებდნენ NAT და SPA ტიპის ღია, ელექტრონულ პროცედურებს. შედარებისათვის, 2019 წელს გამოცხადებული იყო 34,216 სხვადასხვა სახის შესყიდვის ელ. პროცედურა. შესაბამისად, 2020 წელს გამოცხადებული ელ. შესყიდვების მთლიანი რაოდენობა დაახლოებით 25%-ით შემცირდა წინა წელთან მიმართებით. გამოცხადებული ტენდერების რაოდენობების დაფიქსირებული მნიშვნელოვანი კლება, დიდწილად განაპირობა ქვეყანაში პანდემიისგან გამოწვეულმა ეკონომიკური აქტივობების შემცირებამ.

დიაგრამა N1: 2020 წელს გამოცხადებული ელექტრონული შესყიდვების პროცედურების რაოდენობა ტიპების მიხედვით



მომდევნო N2 და N3 დიაგრამებზე, ნათლად ჩანს, რომ ყველაზე მეტად ტენდერების რაოდენობა შემცირდა მეორე კვარტლის პერიოდში და შემცირებული აქტივობა გრძელდებოდა წლის ბოლომდე.

[1] იგულისხმება ტენდერები, კონკურსები და შესყიდვების სხვა ელექტრონული პროცედურები.

დიაგრამა N2: 2020 წელს გამოცხადებული ტენდერების განაწილება თვეების მიხედვით



დიაგრამა N3: 2019 წელს გამოცხადებული ტენდერების განაწილება თვეების მიხედვით



1.2 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება და ტენდერების სტატუსები

გამოცხადებული ტენდერების რაოდენობის მსგავსად, შემცირებულია იმ ტენდერების რაოდენობაც, რომლებიც დასრულდა და საბოლოო სტატუსი მიენიჭა 2020 წელს. ასეთი ტენდერების რაოდენობამ 25,019 შეადგინა, რაც 7,552 ტენდერით ნაკლებია 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ამასთან, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა წარმატებით დასრულებული ტენდერების წილი, რომელმაც 74% შეადგინა; შესაბამისად, შეწყდა, დასრულდა უარყოფითი შედეგით და არ შედგა გამოცხადებული ტენდერების 26%. ქვემოთ მოცემულ N4, N5 დიაგრამებზე და N1 ცხრილში დეტალურად არის ნაჩვენები დასრულებული ტენდერების საბოლოო სტატუსების გადანაწილება და ასევე, "ტოპ 20" შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელთა მიერ გამოცხადებულ ტენდერებში დაფიქსირდა წარმატებით დასრულებული ტენდერების ყველაზე მეტი პროცენტული წილი.

დიაგრამა N4: 2020 წელს ტენდერებზე მინიჭებული საბოლოო სტატუსები[2]



[2] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს

დიაგრამა N5: 2020 წელს დადებული ხელშეკრულებების განაწილება შესყიდვის ობიექტების მიხედვით



ცხრილი N1: "ტოპ 20" შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულება დადებული ტენდერების ყველაზე მეტი პროცენტული წილით[3]

შემსყიდველი ორგანიზაცია	გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა	ტენდერების რაოდენობა რომლებშიც დაიდო ხელშეკრულება	პროცენტული წილი
შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	81	77	95.1%
საბურთალოს რაიონის გამგეობა	59	56	94.9%
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	57	52	91.2%
საქართველოს ეროვნული ბანკი	98	89	90.8%
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	65	59	90.8%
საზოგადოებრივი მაუწყებელი	74	67	90.5%
ქალაქ თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობა	91	82	90.1%
ონის მუნიციპალიტეტის მერია	54	48	88.9%
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	96	85	88.5%
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია	52	46	88.5%
ქ.თბილისის ისნის რაიონის გამგეობა	146	129	88.4%
საქართველოს პროკურატურა	73	64	87.7%
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	101	88	87.1%
ვაკის რაიონის გამგეობა	62	54	87.1%
ზორჯომის მუნიციპალიტეტი	106	92	86.8%
ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობა	83	72	86.7%
ქ. თბილისის გლდანის რაიონის გამგეობა	96	83	86.5%
საქართველოს პარლამენტის აპარატი	100	86	86.0%
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	84	72	85.7%
იუსტიციის სახლი	116	99	85.3%

[3] ცხრილში მოცემულია მხოლოდ ის "ტოპ 20" შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელთა მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში გამოცხადებული იყო სულ მცირე 50 ელექტრონული ტენდერი. მონაცემები არ მოიცავს: GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

2020 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების მთლიანმა მოცულობამ 5,158,143,556 ლარი შეადგინა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 10.4%-ს შეადგენს.[4] ელექტრონული ტენდერების და კონსოლიდირებული ტენდერების საფუძველზე გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ 4,088,057,239 ლარი შეადგინა[5], ხოლო გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ - 1,070,086,317 ლარი (იხ. N6 დიაგრამა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამარტივებული შესყიდვების ღირებულების ნახევარზე მეტი წილი მოდის სახელმწიფოს მიერ გაცემულ სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიებზე, პანდემიის მართვის პროცესში შესყიდულ კრიტიკულად საჭირო სხვადასხვა სამედიცინო ინვენტარზე და წამალზე, ასევე გამარტივებული შესყიდვების მონეტარული ზღვრის (GEL 5,000) დაცვით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე (იხ. N7 დიაგრამა).

დიაგრამა N6: სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება



[4] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით 2020 წლის მთლიანი შიდა პროდუქტი უტოლდება 49.4 მილიარდ ლარს. წყარო: https://www.geostat.ge

[5] მონაცემები მოიცავს ყველა ტიპის ელექტრონული ტენდერის შედეგად გაფორმებულ ხელშეკრულებებს, მათ შორის, კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით გაფორმებულ შესყიდვების ხელშეკრულებებს. მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, GRA და B2B ტენდერებს.

დიაგრამა N7: გამარტივებული შესყიდვები



როგორც ზემოთ მოცემული N6 და N7 დიაგრამებზე არის ასახული, იმ შემთხვევაში, თუ გამარტივებული შესყიდვების მთლიან მოცულობებს (1,070,086,317 ლარი) გამოვაკლებთ სუბსიდიებთან და პანდემიასთან დაკავშირებული შესყიდვების სახელშეკრულებო ღირებულებებს (497,806,678 ლარს), შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ყველა სახის ე.წ. „კონვენციურ“ გამარტივებულ შესყიდვებზე[6] ჯამში დაიხარჯა 572,279,639 ლარი, რაც თავის მხრივ, უტოლდება მთლიანი სახელმწიფო შესყიდვების მოცულობის მხოლოდ 11%-ს (იხ. დიაგრამა N8).

[6] იგულისხმება გამარტივებული შესყიდვები ისეთი საფუძვლებით როგორებიცაა: 5,000 ლარამდე მონეტარული ზღვრის დაცვით შესყიდვები, შესყიდვის ობიექტის მიწოდების ექსკლუზიური უფლება, გადაუდებელი აუცილებლობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარება შეზღუდულ ვადებში და ა.შ.

დიაგრამა N8: გამარტივებული შესყიდვების, სუბსიდიების და პანდემიით გამოწვეული გაუთვალისწინებელი ხარჯების და ელექტრონული ტენდერების და კონსოლიდირებული ტენდერების მოცულობები



ელექტრონული ტენდერების ხელშეკრულებების საერთო ღირებულების (3,711,057,239 ლარი) თითქმის 84% მოდის მსხვილი მოცულობის ტენდერებზე, რომელთა სახელშეკრულებო ღირებულება აღემატებოდა 200,000 ლარს. ხოლო იგივე ტენდერები, რაოდენობრივად, ყველა დასრულებული ტენდერის მხოლოდ 14%-ს შეადგენდა. ამრიგად, 2020 წელს ჩატარებული ტენდერების 86%-ის სახელშეკრულებო ღირებულება ნაკლები იყო 200,000 ლარზე. ხსენებული მონაცემების უფრო დეტალურად გასაცნობად იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილები N2, N3, და დიაგრამა N9.

2020 წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერების რაოდენობები მნიშვნელოვნად არის შემცირებული 2019 წელთან შედარებით. თუმცა, მცირედით გაიზარდა იმ ტენდერების რაოდენობა, რომელთა ხელშეკრულებების ღირებულება აღემატებოდა 200,000 ლარს (იხ. ცხრილი N3 და დიაგრამა N9).

ცხრილი N2: 2020 და 2019 წლებში ჩატარებული ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებები თანხობრივ ჭრილში[7]

სახელშეკრულებო ღირებულება	2020 წელი (ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება)		2019 წელი (ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება)
10,000 და ნაკლები	27,875,254	↓	38,891,731
10,001 - 20,000	42,847,380	↓	54,654,333
20,001 - 30,000	43,006,494	↓	55,331,542
30,001 - 40,000	41,177,754	↓	49,967,764
40,001 - 50,000	40,260,089	↓	51,844,679
50,001 - 100,000	164,041,661	↓	182,090,160
100,001 - 200,000	221,371,290	↓	239,836,835
200,001 და მეტი	3,130,477,318	↓	3,319,722,206
სულ:	**3,711,057,240**	↓	**3,992,339,250**

ცხრილი N3: 2020 და 2019 წლებში ჩატარებული ტენდერების რაოდენობები სახელშეკრულებო ღირებულებების ჭრილში[8]

სახელშეკრულებო ღირებულება	2020 წელი		2019 წელი
10,000 და ნაკლები	5,432	↓	7,880
10,001 - 20,000	2,891	↓	3,713
20,001 - 30,000	1,717	↓	2,211
30,001 - 40,000	1,168	↓	1,415
40,001 - 50,000	886	↓	1,146
50,001 - 100,000	2,243	↓	2,529
100,001 - 200,000	1,550	↓	1,691
200,001 და მეტი	2,488	↑	2,447
სულ:	**18,375**	↓	**23,032**

[7] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.
[8] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

დიაგრამა N9: 2020 და 2019 წლებში ჩატარებული ტენდერების რაოდენობები სახელშეკრულებო ღირებულებების ჭრილში[9]



ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების 60%-მდე მოდის „ტოპ 20“ ყველაზე მსხვილი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ ტენდერებზე, რაც თანხობრივად 2,213,507,623 ლარს უტოლდება.

[9] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

ცხრილი N4: „ტოპ 20“ შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებების მიხედვით

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	ტენდერების რაოდენობა	ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება
1	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	176	706,955,761
2	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	92	272,296,863
3	ქ. თბილისის მერია	220	207,948,460
4	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	116	207,050,140
5	შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	77	98,158,846
6	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	75	95,454,456
7	ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი	26	86,642,488
8	თბილისის სატრანსპორტო კომპანია	153	75,493,160
9	საზოგადოებრივი მაუწყებელი	67	68,552,855
10	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება- საავტომობილო გზების დეპარტამენტი	183	52,952,635
11	სოციალური მომსახურების სააგენტო	98	51,205,420
12	ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	76	43,853,898
13	აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	18	40,175,117
14	სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	207	39,925,158
15	გორის მუნიციპალიტეტის მერია	216	32,548,732
16	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	395	31,659,021
17	შპს საქართველოს მელიორაცია	108	28,993,504
18	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	115	24,971,839
19	თვითმმართველი ერთეული საჩხერის მუნიციპალიტეტი	180	24,408,447
20	შემოსავლების სამსახური	159	24,260,823
	ჯამი:	2,757	2,213,507,623

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ტენდერების საფუძველზე დახარჯული თანხების 88%-ზე მეტი გადანაწილდა 20 ყველაზე მსხვილ CPV კატეგორიაზე, რომელთა ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ 3,276,578,859 ლარი შეადგინა. ამასთანავე, ხსენებული მსხილი CPV კატეგორიებიდან, ყველაზე მეტი თანხა - 2.9 მილიარდამდე ლარი დაიხარჯა ინფრასტრუქტურულ და სხვადასხვა სახის სამოქალაქო დანიშნულების შენობა-ნაგებობების სამშენებლო სამუშაოებსა და მშენებლობასთან დაკავშირებულ მომსახურებებზე (მაგ. არქიტექტურული და საინჟინრო მომსახურებები).

ცხრილი N5: „ტოპ 20“ CPV კატეგორია ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებების მიხედვით

N	CPV კატეგორია	ტენდერების რაოდენობა	ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება
1	45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	3,659	2,303,349,626
2	45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები	917	303,786,838
3	45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	324	119,353,230
4	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	581	57,475,736
5	34100000 - ავტოსატრანსპორტო საშუალებები	101	53,049,970
6	45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	480	52,583,817
7	50100000 - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	818	50,541,273
8	30200000 - კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები	258	42,551,919
9	33100000 - სამედიცინო მოწყობილობები	482	37,258,645
10	71500000 - მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები	28	35,932,068
11	71300000 - საინჟინრო მომსახურებები	895	30,350,363
12	55500000 - სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება	95	25,762,443
13	50200000 - თვითმფრინავების, რკინიგზის, საგზაო და საზღვაო მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები	37	24,793,653
14	44100000 - სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები	326	24,081,277
15	71200000 - არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	128	22,887,096
16	90900000 - დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება	254	23,579,141
17	66500000 - სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები	83	20,715,077
18	48800000 - საინფორმაციო სისტემები და სერვერები	32	16,335,206
19	85100000 - ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები	98	16,142,286
20	31100000 - ელექტროძრავები, გენერატორები და ტრანსფორმატორები	43	16,049,195
	სულ:	9,639	3,276,578,859

1.3. ეკონომია და პრეტენდენტების რაოდენობები ტენდერებში

2020 წელს ჩატარებული ტენდერების ჯამური სავარაუდო ღირებულებებისა და მიმწოდებლების მიერ ვაჭრობაში დაფიქსირებული საბოლოო ფასების მთლიანმა სხვაობამ დაახლოებით შეადგინა 11%. ამრიგად ტენდერებში კონკურენციისა და მიმწოდებლების მიერ ფასების კლების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ დაახლოებით 417 მილიონი ლარი შეადგინა. აქედან ყველაზე მეტი თანხა - დაახლოებით 323 მილიონი ლარი, დაიზოგა სამშენებლო სამუშაოების შესრულების მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში.

ცხრილი N6: ეკონომიის მაჩვენებლები 2019 წელს დასრულებულ ტენდერებში[10]

შესყიდვის კატეგორია	სავარაუდო ღირებულება	ბოლო შეთავაზება	ეკონომია	%
საქონელი	712,713,968	656,928,691	55,785,277	7.8%
მომსახურება	541,770,054	505,017,550	36,752,504	6.8%
სამშენებლო სამუშაოები	2,709,504,433	2,447,945,153	261,559,280	9.7%
სულ	**3,963,988,455**	**3,609,891,394**	**354,097,061**	**8.9%**

ცხრილი N7: ეკონომიის მაჩვენებლები 2020 წელს დასრულებულ ტენდერებში[11]

შესყიდვის კატეგორია	სავარაუდო ღირებულება	ბოლო შეთავაზება	ეკონომია	%
საქონელი	534,457,792	490,914,812	43,542,980	8.1%
მომსახურება	394,957,801	345,145,720	49,812,081	12.6%
სამშენებლო სამუშაოები	2,844,688,330	2,521,467,524	323,220,806	11.4%
სულ	**3,774,103,923**	**3,357,528,056**	**416,575,867**	**11.0%**

[10] მიღებული ეკონომიის მაჩვენებლების დათვლის მიზნით მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, B2B, CON, GRA და პრეისკურანტიან ტენდერებს.
[11] მიღებული ეკონომიის მაჩვენებლების დათვლის მიზნით მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, B2B, CON, GRA და პრეისკურანტიან ტენდერებს.

დიაგრამა N10: ეკონომიის მაჩვენებლები 2020 წელს დასრულებულ ტენდერებში



ქვემოთ მოცემული ცხრილები ასახავს მონაცემებს ტენდერებში დაფიქსირებული ეკონომიების გადანაწილებით შემსყიდველ ორგანიზაციებზე და CPV კატეგორიებზე (ცხრილები N8 და N9). ცხრილებში ჩამოთვლილია „ტოპ 10“ შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელთა მიერ გამოცხადებულ ტენდერებში დაფიქსირდა ყველაზე მაღალი ეკონომიები და ასევე, ის „ტოპ 10“ CPV კატეგორია, რომლებშიც ტენდერების შედეგად დაიზოგა ყველაზე მეტი თანხები. როგორც აღნიშნულ ცხრილებში ჩანს, სახელმწიფო ტენდერებში დაფიქსირებული ეკონომიის ნახევარზე მეტი - 221,179,065 ლარი მოდის „ტოპ 10“ შემსყიდველის მიერ გამოცხადებულ ტენდერებზე.

ცხრილი N8: „ტოპ 10“ შემსყიდველი ორგანიზაცია ეკონომიის მიხედვით

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	ტენდერების სავარაუდო ღირებულება	ზოლო შეთავაზება ტენდერებში	თანხობრივი ეკონომია	თითოეულ კატეგორიაზე ეკონომიის % მაჩვენებელი
1	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	575,405,195	492,819,910	82,585,285	14.4%
2	ქ. თბილისის მერია	243,228,349	206,150,727	37,077,622	15.2%
3	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	308,771,134	272,117,797	36,653,337	11.9%
4	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	231,069,659	205,445,999	25,623,660	11.1%
5	შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	113,436,479	97,957,362	15,479,117	13.6%
6	ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	49,832,205	44,465,142	5,367,063	10.8%
7	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	101,009,875	95,810,133	5,199,742	5.1%
8	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება- საავტომობილო გზების დეპარტამენტი	56,869,646	52,221,158	4,648,488	8.2%
9	სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	35,980,241	31,700,216	4,280,025	11.9%
10	გორის მუნიციპალიტეტის მერია	36,380,706	32,115,980	4,264,726	11.7%
	სულ:				221,179,065

ცხრილი N9: „ტოპ 10“ CPV კატეგორია ეკონომიის მიხედვით

N	CPV კატეგორია	ტენდერების სავარაუდო ღირებულება	ბოლო შეთავაზება ტენდერებში	თანხობრივი ეკონომია	თითოეულ კატეგორიაზე ეკონომიის % მაჩვენებელი
1	45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	2,314,297,135	2,050,019,425	264,277,710	11%
2	45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები	333,265,003	301,433,605	31,831,398	10%
3	45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	137,103,339	118,018,035	19,085,304	14%
4	71300000 - საინჟინრო მომსახურებები	43,643,391	29,325,567	14,317,824	33%
5	45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	60,022,853	51,996,459	8,026,394	13%
6	71500000 - მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები	43,644,022	35,876,914	7,767,108	18%
7	33100000 - სამედიცინო მოწყობილობები	44,276,546	38,343,161	5,933,385	13%
8	71200000 - არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	26,830,966	22,556,898	4,274,068	16%
9	79400000 - ბიზნესსა და მენეჯმენტთან დაკავშირებული კონსულტაციები და მომსახურებები	10,052,282	5,948,833	4,103,449	41%
10	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	60,996,360	57,325,312	3,671,048	6%
სულ:				363,287,688	

ჩატარებული ტენდერების შემცირებული რაოდენობის საპირისპიროდ, 2020 წელს - 2.27-მდე გაიზარდა ტენდერებში პრეტენდენტების მონაწილეობის საშუალო მაჩვენებელი (2019

წელს ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა 2.05-ს).

გასული წლების მსგავსად, პრეტენდენტების საშუალო რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 2.9 დაფიქსირდა სამშენებლო სამუშაოების CPV კატეგორიებზე გამოცხადებულ ტენდერებში; 2 - საქონლის და 2.01 მომსახურების CPV კატეგორიებზე გამოცხადებულ ტენდერებში.

დიაგრამა N11: პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა შესყიდვის ობიექტების მიხედვით[12]



[12] პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა დათვლილია 2020 წელს დასრულებულ იმ ტენდერებში, რომლებზეც დადებულია სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები. მონაცემებში არ შედის GEO, DEP, GRA, CON და B2B ტენდერები.

დიაგრამა N12: პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა წლების მიხედვით



ზემოხსენებული სტატისტიკური მონაცემების გარდა, მომდევნო ცხრილებში (N10 და N11) ასახულია პრეტენდენტების საშუალო რაოდენობები, როგორც ცალკეულ CPV კოდებზე, ასევე შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული ტენდერების მიხედვით.

პრედენდენტების საშუალო რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა „შენობის დასრულების სამუშაოების“ CPV კატეგორიაზე გამოცხადებულ ტენდერებში.

ცხრილი N10: „ტოპ 20“ CPV კატეგორია პრეტენდენტების ყველაზე მაღალი საშუალო რაოდენობით[13]

N	CPV კატეგორია	პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა
1	45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები	3.53
2	18200000 - გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი	3.29
3	71300000 - საინჟინრო მომსახურებები	3.15
4	45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	3.13
5	18100000 - სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები	2.84
6	38400000 - ფიზიკური მახასიათებლების კონტროლის ხელსაწყოები	2.82
7	79800000 - ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	2.81
8	22400000 - მარკები, ჩეკების წიგნაკები, ბანკნოტები, აქციები, სარეკლამო მასალა, კატალოგები და სახელმძღვანელოები	2.78
9	45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	2.77
10	45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	2.73
11	79400000 - ბიზნესსა და მენეჯმენტთან დაკავშირებული კონსულტაციები და მომსახურებები	2.72
12	18400000 - სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები	2.72
13	18800000 - ფეხსაცმელი	2.68
14	38500000 - საკონტროლო და გამოსაცდელი აპარატურა	2.68
15	44800000 - საღებავები, ლაქები და მასტიკები	2.68
16	90900000 - დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება	2.66
17	66500000 - სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები	2.65
18	31100000 - ელექტროძრავები, გენერატორები და ტრანსფორმატორები	2.63
19	39100000 - ავეჯი	2.61
20	38300000 - საზომი ხელსაწყოები	2.54

[13] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს და დათვლილია მხოლოდ იმ CPV კატეგორიებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოცხადდა მინიმუმ 20 ტენდერი.

ცხრილი 11: „ტოპ 20“ შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტების ყველაზე მაღალი საშუალო რაოდენობით[14]

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	ტენდერების რაოდენობა	პრეტენდენტების რაოდენობა	პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა
1	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს	176	708	4.02
2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	61	245	4.02
3	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	39	152	3.90
4	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია	118	450	3.81
5	კასპის მუნიციპალიტეტი	53	202	3.81
6	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	75	280	3.73
7	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	92	337	3.66
8	თვითმმართველი ქალაქი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	84	293	3.49
9	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	52	175	3.37
10	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია	60	189	3.15
11	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	67	211	3.15
12	თვითმმართველი ერთეული ჭიათურის მუნიციპალიტეტი	114	352	3.09
13	ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა	106	325	3.07
14	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	68	207	3.04
15	გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	23	70	3.04
16	შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	77	234	3.04
17	მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანო	65	197	3.03
18	ქ. თბილისის გლდანის რაიონის გამგეობა	83	248	2.99
19	საბურთალოს რაიონის გამგეობა	56	167	2.98
20	შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია	43	128	2.98

[14] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს და დათვლილია მხოლოდ იმ შემსყიდველი ორგანიზაციების მონაცემები, რომელთა მიერ წლის განმავლობაში გამოცხადდა მინიმუმ 20 ტენდერი.

შესყიდვების კატეგორიებისა და სხვადასხვა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული ტენდერების მსგავსად, პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა ასევე კარდინალურად განსხვავებულია ტენდერების ტიპების მიხედვით. კერძოდ, პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა NAT ტენდერებში, დაახლოებით 28%-ით აღემატება SPA ტიპის ტენდერებში დაფიქსირებულ პრეტენდენტთა საშუალო რაოდენობას (იხ. დიაგრამა N13).

დიაგრამა N13: პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა ტენდერის ტიპების მიხედვით



1.4 სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლები და შესყიდვებში გამარჯვებული მიმწოდებლები

2020 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების eProcurement სისტემაში დარეგისტრირდა 2,652 ახალი მიმწოდებელი და 75 ახალი შემსყიდველი ორგანიზაცია. ამრიგად, წლის ბოლოს, სისტემაში რეგისტრირებული შემსყიდველი ორგანიზაციების რაოდენობამ 4,464, ხოლო მიმწოდებლების - 44,173 შეადგინა, რაც მთლიანობაში, ქვეყანაში რეგისტრირებული აქტიური ეკონომიკური სუბიექტების დაახლოებით 25% შეადგენს[15].

დიაგრამა N14: სახელმწიფო შესყიდვების eProcurement სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობა წლების მიხედვით



1.4.1 არარეზიდენტი მიმწოდებლები

2020 წელს, არარეზიდენტ მიმწოდებლებთან 18 სხვადასხვა ქვეყნიდან, სახელმწიფო ტენდერების საფუძველზე, გაფორმდა 45 ხელშეკრულება, რომელთა ღირებულებამ ჯამში შეადგინა 73 მლნ. ლარი.

[15] ქვეყანაში რეგისტრირებული აქტიური ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა 2021 წლის თებერვლის მდგომარეობით იყო 198,343. წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge/ka

დიაგრამა N15: არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება



ზემოხსენებული თანხიდან, ყველაზე დიდი წილი - 32 მლნ. ლარის ღირებულების კონტრაქტები გაფორმდა საფრანგეთში რეგისტრირებულ კომპანიებთან. N12 ცხრილში ნაჩვენებია არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულების გადანაწილება ქვეყნების მიხედვით.

ცხრილი N12: არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება

#	ქვეყანა	სახელშეკრულებო ღირებულებების ჯამი
1	საფრანგეთი	32,190,243
2	უნგრეთი	9,616,983
3	ლიტვა	7,892,517
4	გერმანია	6,897,709
5	დანია	3,968,843
6	შვეიცარია	3,807,074
7	დიდი ბრიტანეთი	1,970,482
8	იტალია	1,960,332
9	შვედეთი	978,589
10	მაკედონია	907,101
11	ნიდერლანდები	650,000
12	თურქეთი	621,499
13	უკრაინა	496,748
14	რუმინეთი	343,000
15	სლოვაკეთი	229,500
16	პოლონეთი	196,044
17	ესპანეთი	168,906
18	პორტუგალია	99,275

N13 ცხრილში მოცემულია არარეზიდენტ მიმწოდებლებთან ტენდერების მეშვეობით გაფორმებული „ტოპ 10“ ყველაზე მსხვილი შესყიდვის ხელშეკრულების ჩამონათვალი. აღნიშნული ტენდერების სახელშეკრულებო ღირებულების ჯამურმა ოდენობამ დაახლოებით 61 მლნ. ლარი შეადგინა.

ცხრილი N13: არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება

ტენდერის ნომერი	შემსყიდველი	მიმწოდებელი	შესყიდვის ობიექტი	ხელშეკრულების ღირებულება
NAT190015186	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	EGIS International (საფრანგეთი)	71500000 - მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები	15,000,000
NAT190015185	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	EGIS International (საფრანგეთი)	71500000 - მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები	15,000,000
NAT190024512	სოციალური მომსახურების სააგენტო	Sanofi-Aventis Private Co. Ltd (უნგრეთი)	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	8,618,283
NAT200007464	საზოგადოებრივი მაუწყებელი	TVC Solutions, UAB (ლიტვა)	32300000 - ტელე- და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა	7,892,517
NAT200007804	საზოგადოებრივი მაუწყებელი	Broadcast Solutions GmbH (გერმანია)	48800000 - საინფორმაციო სისტემები და სერვერები	5,770,000
NAT200001073	სოციალური მომსახურების სააგენტო	novo norrdisk a/s denmark (დანია)	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	2,526,520
NAT200005473	ს.ს.ი.პ. "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"	Sanofi Pasteur (საფრანგეთი)	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	1,999,350
CNT190000116	შ.პ.ს ,,მთის კურორტების განვითარების კომპანია"	Studio associato Proalpe (იტალია)	71200000 - არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	1,960,332
NAT190024919	სოციალური მომსახურების სააგენტო	F.Hoffmann-La Roche Ltd (შვეიცარია)	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	1,470,855
NAT200012394	სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	MUEHLBAUER ID SERVICES GMBH (გერმანია)	22400000 - მარკები, ჩეკების წიგნაკები, ბანკნოტები, აქციები, სარეკლამო მასალა, კატალოგები და სახელმძღვანელოები	1,127,709

გარდა ზემოაღნიშნული ტენდერების მეშვეობით გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებისა, 2020 წელს არარეზიდენტ მიმწოდებლებთან დაიდო 134 გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება, რომელთა ჯამური ღირებულება უტოლდება დაახლოებით 12 მლნ. ლარს. საერთო ჯამში, 2016 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, პირდაპირი შესყიდვის წესით, სხვადასხვა არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმდა 97 მილიონი ევროს ღირებულების გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება.

2020 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების eProcurement სისტემაში დარეგისტრირდა 75 ახალი არარეზიდენტი კომპანია და წლის ბოლოსთვის სისტემაში რეგისტრირებული არარეზიდენტი კომპანიების რიცხვმა შეადგინა 2,054. აღნიშნული არარეზიდენტი ბიზნეს სუბიექტები[16], წარმოდგენილი არიან მსოფლიოს 75 სხვადასხვა ქვეყნიდან (დეტალურად იხ. დიაგრამა N16).

დიაგრამა N16: eProcurement სისტემაში რეგისტრირებული არარეზიდენტი მიმწოდებლების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით



[16] არარეზიდენტ პირად ითვლება ის სუბიექტი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში რეგისტრირებულია უცხოური საიდენტიფიკაციო კოდით

1.5 შესყიდვები დონორის სახსრებით - DEP ტენდერები

2020 წელს შესყიდვის ხელშეკრულება დაიდო 26 დასრულებულ DEP ტენდერზე, ხოლო ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 87 მლნ. ლარი. DEP ტენდერებით განხორციელებული შესყიდვები დაფინანსებული იყო მსოფლიო ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის, სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაციის, აზიის განვითარების ბანკის და ევროკავშირის მიერ. N14 ცხრილში ნაჩვენებია ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებების გადანაწილება დონორი ორგანიზაციებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიხედვით.

ცხრილი N14: DEP ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების გადანაწილება დონორებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიხედვით

დონორი	DEP ტენდერების რაოდენობა	სახელშეკრულებო ღირებულება
მსოფლიო ბანკი	15	63,228,878
ევროპის საინვესტიციო ბანკი	7	17,508,857
სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია	2	4,563,890
აზიის განვითარების ბანკი	1	1,428,000
ევროკავშირი	1	79,499

DEP ტენდერით განხორციელებული ყველაზე მოცულობითი შესყიდვა განხორციელდა „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ, რომელიც დაფინანსებული იყო მსოფლიო ბანკის სახსრებით. აღნიშნული DEP ტენდერის[17] ხელშეკრულების ღირებულებამ 51,778,023 ლარი შეადგინა. N15 ცხრილში მოცემულია იმ შემსყიდველი ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომელთა მიერ 2020 წლის განმავლობაში, DEP ტენდერების საფუძველზე გაფორმდა შესყიდვების ხელშეკრულებები.

[17] ტენდერის ნომერია: DEP190000070

ცხრილი N15: DEP ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების გადანაწილება შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით

#	შემსყიდველი ორგანიზაცია	DEP ტენდერების რაოდენობა	სახელშეკრულებო ღირებულება
1	სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	1	51,778,023
2	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	18	28,546,796
3	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	4	4,902,576
4	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	1	1,428,000
5	გორის მუნიციპალიტეტის მერია	1	79,499
6	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	1	74,230

2. სამართლებრივი ბაზის სრულყოფა

2020 წლის განმავლობაში სახელწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მომზადდა და დადგენილი წესით გამოიცა არაერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი, კერძოდ:

2020 წლის 02 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ №6730-რს საქართველოს კანონი (რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაში მოცემული და საჯარო შესყიდვების სფეროში მოქმედი დირექტივების [2014/24/EU; 89/665/EEC] მრავალ კომპონენტთან დაახლოებასა და იმპლემენტაციას ეროვნულ კანონმდებლობაში) მომზადებულ იქნა სააგენტოს მიერ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან, კონკურენციის ეროვნულ სააგენტოსთან, ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად.

იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებული კანონით ჩამოყალიბდა ინსტიტუციურად დამოუკიდებელი დავების განმხილველი ახალი საბჭო და დადგინდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული რიგი გადაწყვეტილებების გასაჩივრების ახალი რეგულაციები, დადგა აღნიშნული საბჭოს საქმიანობის მარეგლამენტირებელი აქტის შემუშავების საჭიროება, რაც აგრეთვე განხორციელდა სააგენტოს მიერ. ამავე დროს, მომზადდა ზემოხსენებული კანონით გამოწვეული აუცილებელი ცვლილებების პროექტები, რომლებიც აისახა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.

განხორციელებული ცვლილების მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის უფლება აქვთ ამ მიზნით შექმნილ საბჭოს ან სასამართლოს. დავის განმხილველ ერთ-ერთ ორგანოდ კანონით აღარ არის გათვალისწინებული თავად შემსყიდველი ორგანიზაცია (ადმინისტრაციული წესით), რამდენადაც აღნიშნული არაერთ პრაქტიკულ პრობლემას უკავშირდება, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს ზემდგომი თანამდებობის პირი ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო შესყიდვები ტარდება სატენდერო/საკონკურსო კომისიების მიერ, შეუძლებელია მათ მიერ კოლეგიურად მიღებული გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე განიხილოს და გადასინჯოს ერთპიროვნულად ზემდგომმა თანამდებობის პირმა ან ორგანომ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, განხორცილებული ცვლილებების შედეგად, აღარ არსებობს საბჭოს ორი შემადგენლობა, არამედ მხოლოდ ერთი – 5-წევრიანი შემადგენლობა. საბჭოს წევრობისთვის, მცირედი განსხვავებით, დადგინდა იდენტური საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის.

ამასთან, ცვლილებით გაიზარდა იმ სადავო საკითხთა ნუსხა, რომელიც ექვემდებარება საბჭოში გასაჩივრებას, კერძოდ, საბჭოში აგრეთვე გასაჩივრდება გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, თუ შესასყიდი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს სავარაუდო ღირებულება შეადგენს ან აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით

დადგენილ მონეტარულ ზღვრებს. ამასთან დადგინდა, რომ არ გასაჩივრდება გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მონეტარულ ზღვრებს ქვევით. გარდა ამისა, განისაზღვრა, რომ გასაჩივრების შემთხვევაში მოქმედებს ე.წ „შეჩერების“ (standstill) მექანიზმი, რა დროსაც ჩერდება სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები, თუმცა შეჩერებას არ ექვემდებარება გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის პროცედურა, მისი შინაარსიდან გამომდინარე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შეიცვალა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განსახორციელებლად სააგენტოსთან შეთანხმების წესი. ცვლილების თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, სააგენტოსთან თანხმდება გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით განსახორციელებელი შესყიდვის პროცედურა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს ღირებულება ნაკლებია სახელმწიფო შესყიდვის სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებზე.

განხორციელებული ცვლილებით საბჭოს მიეცა შესაძლებლობა, არაუმეტეს 10 სამუშაო დღით გააგრძელოს გადაწყვეტილების მიღების ვადა, რაც გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით, მათ შორის, განპირობებულია იმით, რომ გაიზარდა გასაჩივრებას დაქვემდებარებული საკითხები, ხოლო საბჭო გახდა სპეციალიზებული ორგანო, რომლის წევრებს, აღარ შეუძლიათ შეთავსებით სხვა ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელება.

აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა განაპირობა ცვლილებების განხორციელება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებულ არაერთ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში. ზემოხსენებული საკანონმდებლო მოთხოვნების აღსრულების მიზნით, მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებამ და დადგინდა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესასრულებელი მთელი რიგი ვალდებულებები, მათ შორის, განისაზღვრა შემდეგი:

- თუ გამარტივებული შესყიდვის ღირებულება შეადგენს ან აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, ზემოხსენებული ბრძანების დანართის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, გამოაქვეყნოს სისტემაში შექმნილ გამოქვეყნების/შეთანხმების მოდულში;
- შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, სისტემაში შექმნილ გამოქვეყნების/შეთანხმების მოდულში გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში არ დადოს გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (გარდა გადაუდებელი აუცილებლობის არსებობის შემთხვევისა);
- იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში გასაჩივრდება გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება და საბჭო

სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილებს წარდგენილ საჩივარს, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, საბჭოს მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან გონივრულ ვადაში, საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, გადასინჯოს ან გააუქმოს გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება;

გარდა ამისა, 2020 წლის განმავლობაში სააგენტო განაგრძობდა ევროპელ ექსპერტებთან (ევროკავშირის Twinning პროექტი „საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გაძლიერება“) ერთად „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე მუშაობას, მის დახვეწასა და ხსენებული პროექტიდან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებზე მუშაობას on-line რეჟიმში. სააგენტო ასევე თანამშრომლობს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ და გაეროს გარემოსდაცვით პროგრამასთან (UNEP) პროექტის ფარგლებში, რის შედეგადაც, „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში აისახა „მდგრად საჯარო შესყიდვების“ (Sustainable Public Procurement) კონცეფციასთან დაკავშირებული შესაბამისი ნორმები. ამ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში თანამშრომლობა გრძელდება მდგრადი საჯარო შესყიდვების მარეგლამენტირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავების კუთხითაც, შესაბამისი სარეკომენდაციო ხასიათის მასალებისა და სახელმძღვანელოების მომზადების მხრივ, ასევე ხსენებული კონცეფციით მოცული სასაქონლე ნომეკლატურის შერჩევა-ანალიზზე (მ.შ. CPV კოდებზე, UNEP-ის საერთაშორისო მეთოდოლოგიის თანახმად).

ამრიგად, გატარებული რეფორმების შედეგად, ეროვნული კანონმდებლობა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში უფრო მეტად დაუახლოვდა ევროკავშირის შესაბამის დირექტივებსა და რეგულაციებს.

3. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავები

2020 წელს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დავების განხილვის საბჭოში წარმოდგენილ იქნა 1,044 საჩივარი, რაც წინა წელთან შედარებით 201 საჩივრით ნაკლებია. 2020 წელს წარდგენილი საჩივრების უმეტესი ნაწილი - 559 საჩივარი, გადაწყდა ბიზნესის სასარგებლოდ (საბჭოს მიერ დაკმაყოფილდა სრულად ან ნაწილობრივ), რაც შემოსული საჩივრების 54%-ს შეადგენს. აღნიშნული ადასტურებს დავების საბჭოს ობიექტივიზმს და ბიზნესის მაღალი ნდობის დონეს დავების განხილვის საბჭოს მიმართ.

დიაგრამა N17: 2011-2020 წლებში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი საჩივრების სტატისტიკა



საჩივრების სტატუსების დეტალური განაწილება მოცემულია N18 დიაგრამაზე.

დიაგრამა N18: 2020 წელს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი საჩივრების სტატისტიკა



2020 წელს, საბჭოში შემოსული 1,044 საჩივრიდან 33 საჩივარი გაუქმებულ იქნა, ვინაიდან თავად მომჩივანმა განაცხადა უარი მის მიერ შემოტანილ საჩივარზე.

2020 წელს, საბჭოში წარმოდგენილი 1,044 საჩივრიდან 165 დაუშვებლად იქნა ცნობილი შემდეგი საფუძვლებით:

გასულია შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების/ქმედების გასაჩივრებისთვის დადგენილი 5 დღიანი ვადა	41
გასულია შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების/ქმედების გასაჩივრებისთვის დადგენილი 5 დღიანი ვადა და ასევე დადებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება	2
გასულია სატენდერო პირობების გასაჩივრების ვადა	10
დადებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება	19
არ იქნა გამოსწორებული საბჭოს აპარატის მიერ დადგენილი ხარვეზი	24
მომჩივანმა გაუშვა საჩივრის დაზუსტებისათვის განსაზღვრული ვადა	52
არ არსებობს დავის საგანი	4
სახეზე არ არის შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება	1

საჩივარი ეხება საკითხს, რომელზეც არსებობს საბჭოს გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით	1
საჩივარი ეხება შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას შესყიდვის პროცედურის შეწყვეტის შესახებ	6
საჩივრის შინაარსს არ აქვს შერჩეული საჩივრის შესაბამისი ფორმა	2
გასულია „კითხვა-პასუხის“ მოდულის მეშვეობით დასმულ კითხვაზე სატენდერო/საკონკურსო კომისიის რეაგირების გასაჩივრების ვადა	1
საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ	1
საჩივარი ეხება შესყიდვის პროცედურის შეჩერებას	1

2020 წელს საბჭოში წარმოდგენილი საჩივრის მოთხოვნებიდან ჭარბობს შემსყიდველი ორგანიზაციის კანონმდებლობის შეუსაბამო გადაწყვეტილების/ქმედების გაუქმების მოთხოვნა. 1,044 წარდგენილი საჩივრიდან უმეტესობა - 848, ეხებოდა სატენდერო/საკონკურსო კომისიების გადაწყვეტილებებს და ქმედებებს, ხოლო, 196 საჩივარი ეხებოდა სატენდერო პირობებს (იხ. დიაგრამა N19).

დიაგრამა N19: 2020 წელს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი საჩივრების საფუძვლები



ქვემოთ მოცემულ N16 ცხრილში ნაჩვენებია დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი საჩივრების განაწილება სტატუსებისა და შესყიდვის საშუალებების მიხედვით.

ცხრილი N16 : 2020 წელს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი საჩივრების გადანაწილება სტატუსებისა და შესყიდვის პროცედურების მიხედვით

შესყიდვის საშუალება	NAT	SPA	DAP	MEP	CNT	სულ
დაკმაყოფილდა	170	27	-	1	1	**199**
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	319	39	-	1	1	**360**
არ დაკმაყოფილდა	267	19	-	-	1	**287**
დაუშვებლად იქნა მიჩნეული	149	16	-	-	-	**165**
გაუქმდა მომჩივანის მიერ	31	2	-	-	-	**33**
სულ:	**936**	**103**	**-**	**2**	**3**	**1,044**

4. ცენტრალიზებული შესყიდვები

2020 წლის შესყიდვების ცენტრალიზებულად (კონსოლიდირებულად) ჩატარების მიზნით, ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოცხადდა და ამასთან, გამარჯვებული გამოვლინდა შემდეგ კონსოლიდირებულ ტენდერებში:

ცხრილი N17: 2020 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერების რაოდენობა შესყიდვის ობიექტის მიხედვით

N	შესყიდვის ობიექტი	გამოცხადებული ტენდრეების რაოდენობა
1	სხვადასხვა სახის კვების პროდუქტის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	69
2	ნავთობპროდუქციის (საწვავი) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	7
3	სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	2
4	უწყვეტი კვების წყაროების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1
5	A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერები და მათთვის განკუთვნილი კარტრიჯების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1
6	სასკოლო დაფების (ცარცის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1
7	A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	8
8	სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	12
9	სხვადასხვა სახის საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი (სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება)	60
10	სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	3

11	წიგნების ბეჭდვისა და ადგილზე მიწოდების (გრაფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	2
12	სხვადასხვა დასახელების საოფისე ავეჯის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1
13	ზოგიერთი სახის საწმენდი და სადეზინფექციო მოწყობილობის (დისპენსერი, დეზობარიერები) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	2
14	ნაგავშემკრები კონტეინერების (1100 ლიტრიანი პლასტმასის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1
15	სატრანსპორტო საშუალებების ძრავის ზეთებისა და ზეთის ფილტრების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1
16	სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1
17	სხვადასხვა ზომის დიდი და მცირე ტვირთამწეობის საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	49
18	ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	4
19	სამედიცინო სახარჯი მასალების (მათ შორის ნიღბების) და უკონტაქტო თერმომეტრების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	14
20	ფარმაცევტული პროდუქტების (კერძოდ, მედიკამენტების, ხელის სადეზინფექციო ხსნარისა და დეზობარიერებისთვის განკუთვნილი სადეზინფექციო კონცენტრანტის (რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ზედაპირების (ავეჯი/სხვადასხვა ტიპის საგნები) სადეზინფექციოდ) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი.	173
	სულ	412

ჯამურად კონსოლიდირებული ტენდერების გზით განხორციელებული შესყიდვების საწყისმა სავარაუდო ჯამურმა ღირებულებამ 2020 წელს 394 მლნ. ლარი შეადგინა, საიდანაც 377 მლნ. ლარს გაუტოლდა ელექტრონულ ვაჭრობაში დაფიქსრებული საბოლოო ღირებულება; შესაბამისად, ვაჭრობის შედეგად მიღებულმა ეკონომიამ დაახლოებით 17 მლნ. ლარი შეადგინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც სააგენტოს მიერ ჩატარებული ეფექტიანი ბაზრის კვლევისა და კონსულტაციების შედეგად, კონსოლიდირებულ ტენდერებში საწყის სავარაუდო ფასებად ფიქსირდება მინიმალური

ფასები, რის გამოც ელექტრონული ვაჭრობის შედეგად მიღებული ეკონომია მცირდება. აღნიშნულ შემთხვევებში, ცენტრალიზებული შესყიდვების ეფექტიანობის გამოსახატად, მხოლოდ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად მიღებული ეკონომიის მაჩვენებელი არ იძლევა ობიექტურ სურათს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ცენტრალიზებული შესყიდვების რეფორმის შედეგების ობიექტურად შესაფასებლად, მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს ასევე საცალო და საბაზრო ფასები (იხილეთ ცხრილი N18).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში N18 ნაჩვენებია თითოეულ მათგანზე გამოცხადებული მოცულობა, შესაბამისი რაოდენობები და ეკონომია დეტალურად.

ცხრილი N18: 2020 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერები შესყიდვის ობიექტის , რაოდენობის, საწყისი ჯამური ღირებულებისა და ეკონომიის მიხედვით

N	შესყიდვის ობიექტი	გამოცხადებული რაოდენობა	საწყისი ჯამური ღირებულება (ლარი)	ელექტრონულ ტენდერში ვაჭრობის შედეგად მიღებული ჯამური ეკონომია (ლარი)	სავარაუდო ეკონომია (საშუალო საბაზრო ფასთან მიმართებაში) ლარი
1	სხვადასხვა სახის კვების პროდუქტის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	150 დასახელების სხვადასხვა საკვები პროდუქტი	60,283,358.20	2,002,303.17	19,893,508.21
2	ნავთობპროდუქციის (საწვავი) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	68 700 000 ლიტრი	157,944,000.00	-	42,544,800.59
3	სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	17 840 ერთეული	22,947,360.00	2,706,400.00	5,980,520.00
4	უწყვეტი კვების წყაროების სახელმწიფო შესყიდვის	10 000 ერთეული	1,000,000.00	23,000.00	78,019.00

	კონსოლიდირებული ტენდერი				
5	A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერები და მათთვის განკუთვნილი კარტრიჯების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	6 900 ცალი პრინტერი, არანაკლებ 264 268 გვერდის ბეჭდვის კარტრიჯი	12,907,076.00	-	14,114,699.00
6	სასკოლო დაფების (ცარცის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	774 კომპლექტი	253,400.00	37,648.00	69,660.00
7	A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1 040 000 შეკვრა	9,145,000.00	536,800.00	1,158,004.73
8	სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	402 შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე არსებული (რიცხული) 11 587 ერთეული სატრანსპორტო საშუალებისთვის	13,346,870.70	3,590,167.91	5,128,800.00
9	სხვადასხვა სახის საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება სულ 60 მუნიციპალიტეტში	25,215,372.01	1,501,437.06	3,191,760.03
10	სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	26 720.55 wGRP	3,000,000.00	-	6,075,618.07

11	წიგნების ბეჭდვისა და ადგილზე მიწოდების (გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	4 587 870 სასკოლო სახელმძღვანელო და რვეულები	11,599,000.00	264,689.00	18,906,370
12	სხვადასხვა დასახელების საოფისე ავეჯის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	24 სახეობის საოფისე ავეჯი (ჯამში 12 607 ერთეული)	958,000.00	61,000.00	400,000.00
13	ზოგიერთი სახის საწმენდი და სადეზინფექციო მოწყობილობის (დისპენსერი, დეზობარიერები) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	34 119 ერთეული	1,701,388.00	21,424.00	115,662.00
14	ნაგავშემკრები კონტეინერების (1100 ლიტრიანი პლასტმასის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	2 174 ერთეული	1,280,486.00	106,526.00	-
15	სატრანსპორტო საშუალებების ძრავის ზეთებისა და ზეთის ფილტრების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	357 500 ლიტრი ზეთი და 35 800 ცალი ფილტრი	2,790,000.00	3,100.00	2,773,000.00
16	სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	10 160 ერთეული	2,415,000.00	113,000.00	1,235,000.00

17	სხვადასხვა ზომის დიდი და მცირე ტვირთამწეობის საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	57 140	14,895,688.00	1,217,323.00	5,599,420.00
18	ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	344 ერთეული	25,649,940	105,020	1,506,200
19	სამედიცინო სახარჯი მასალების (სამედიცინო ხელთათმანების გარდა) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	79 დასახელების 15 338 297 ერთეული სამედიცინო სახარჯი მასალა	3,993,360.61	291,436.38	2,409,933.52
20	თერმომეტრებისა და ნიღბების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	12 408 894 ერთეული	3,054,511.70	612,868.61	5,534,633.00
21	ფარმაცევტული პროდუქტების (ხელის სადეზინფექციო ხსნარის, დეზობარიერებისათვის განკუთვნილი სადეზინფექციო კონცენტრანტის (რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ზედაპირების (ავეჯის/სხვადასხვა ტიპის საგნები) სადეზინფექციოდ) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1 236 200 ლიტრი	3,537,488.00	1,138,922.00	1,187,797.60

22	ფარმაცევტული პროდუქტების, კერძოდ, მედიკამენტების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერი	1 030 დასახელების 28 061 697 ერთეული მედიკამენტი	16,306,945.77	2,305,483.33	16,778,399.00

აღნიშნული ტენდერების გამოცხადებამდე მოხდა შესაბამისი სფეროს ბაზრის მოკვლევა და სატენდერო დოკუმენტაციების პროექტების მომზადება. ამასთანავე, განხორციელდა შესაბამისი დარგის ექსპერტებთან საქმიანი შეხვედრები, რომლის მიზანიც იყო კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში გამოცხადებული შესყიდვის ობიექტების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და ტექნიკური პარამეტრების ბაზარზე არსებული კონიუქტურის გათვალისწინებით ჩამოყალიბება.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს პირველად განხორციელდა ცენტრალიზაცია რამდენიმე ახალ შესყიდვის ობიექტზე; მათ შორის, სასკოლო სახელმძღვანელოებზე, ნაგავშემკრებ კონტეინერებზე, ზოგიერთ სასკოლო ავეჯსა და ინვენტარზე. ამასთან, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისა და მთელი ქვეყნის სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის შესაბამისი პროდუქტების სწრაფი მობილიზების მიზნით გამოცხადდა რიგი ტენდერები პანდემიასთან საბრძოლველად საჭირო საქონელზე: პირბადეებზე, დეზობარიერებზე, სადეზინფექციო სითხეებზე (ხელისა და დეზობარიერებისათვის) და ელექტრონულ თერმომეტრებზე (იხილეთ ცხრილი N19). ამ ახალ შესყიდვის ობიექტებზე ტენდერების გამოცხადების შედეგად სახეზეა საბიუჯეტო სახსრების მნიშვნელოვანი ეკონომია და პრეტენდენტებისთვის ღია ტენდერებში მონაწილეობის მეტი ხელმისაწვდომობა, ასევე შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, სტანდარტიზება და უნიფიცირება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში N19 ნაჩვენებია პანდემიასთან საბრძოლველად შესყიდული საქონლის ჩამონათვალი:

N	შესყიდვის ობიექტი
1	სასკოლო დაფები (ცარცის)
2	სასკოლო სახელმძღვანელოები
3	საოფისე ავეჯი
4	ხელის სადეზინფექციო ხსნარი
5	დისპენსერი
6	1100 ლიტრიანი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერები
7	თერმომეტრები
8	დეზობარიერი
9	დეზობარიერის სადეზინფექციო სითხე
10	ნიღბები

კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის ელ.-სისტემაში - ctd.spa.ge დანერგილი საწვავისა და საბეჭდი ქაღალდის ნებართვის სპეციალიზებულ მოდულში, 2020 წლის ფარგლებში, შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან წარმოდგენილ საწვავისა და ქაღალდის 5,000 ნებართვაზე მეტზე მოხდა რეაგირება, განხილვა და თითოეულ ნებართვას მიენიჭა შესაბამისი სტატუსი, შემუშავებული რეგულაციებისა და მითითებების გათვალისწინებით.

ამჟამად სააგენტოში ინტენსიურად ხორციელდება ანალიტიკური და კვლევითი მუშაობა, რათა მოხდეს სხვა, დამატებითი შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირება, რომელთა ცენტრალიზებული შესყიდვაც გამართლებული იქნება საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის პრინციპის ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

5. გამარტივებული შესყიდვები

საქართველომ კორონავირუსის დაავადებასთან საბრძოლველად მზადება ჯერ კიდევ 2020 წლის იანვარში დაიწყო; კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებით დამტკიცდა „ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმა“. მთავრობის ხსენებული აქტით დადგინდა, რომ ამავე განკარგულებით განსაზღვრული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად საჭირო მომსახურების/საქონლის შესყიდვები შემსყიდველ ორგანიზაციებს განეხორციელებინათ გადაუდებელი აუცილებლობით ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 101 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის (*სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება*) შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

იმის გათვალისწინებით, რომ ეპიდემიოლოგიური სიტუაცია საჭიროებდა მყისიერ რეაგირებას და შეუძლებელი იყო ელექტრონული ტენდერის პროცედურებისთვის დადგენილი ვადების გამოყენებით ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის აუცილებელი შესყიდვების განხორციელება, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ზემოხსენებული უფლებამოსილების ფარგლებში, პანდემიის პრევენციისა და მისი აღმოფხვრისთვის აუცილებელი სახელმწიფო შესყიდვები განახორციელეს გამარტივებული შესყიდვების გზით. საგულისხმოა, რომ ევროკომისიის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში (2020/C108I/101) „COVID 19-ის კრიზისთან დაკავშირებულ გადაუდებელ სიტუაციაში საჯარო შესყიდვების სისტემის გამოყენების თაობაზე“ ცალსახადაა მითითებული, რომ EU წევრმა სახელმწიფოებმა შესაბამისი ხელშეკრულებები გააფორმონ „მოლაპარაკების პროცედურის წინასწარი გამოქვეყნების გარეშე“ გამოყენებით, რომელიც თავისი შინაარსით იგივეა, რაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვა.

ამის შემდგომ, 2020 წლის შემოდგომაზე ეპიდსიტუაციის გაუარესებიდან გამომდინარე, გაიზარდა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულების დანართში გადაუდებელი აუცილებლობით ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 101 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესასყიდი ობიექტების ჩამონათვალი.

ამასთან, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-18 მუხლის მე-10 პუნქტით განისაზღვრა, რომ ამ დადგენილებით განსაზღვრული რიგი ღონისძიებების (სამედიცინო დახმარების მიმართულება) აღსრულების მიზნით, შემსყიდველ ორგანიზაციებს მიეცეთ უფლება, საჭირო მომსახურების/საქონლის შესყიდვები განახორციელონ გადაუდებელი აუცილებლობით ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 101 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობით.

2020 წლის განმავლობაში გამარტივებული შესყიდვის საფუძვლით გაფორმებული ხელშეკრულებების მოცულობამ შეადგინა საერთო რაოდენობის 21%, რაც 3%-ით აღემატება 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. 2020 წელს ჯამში სააგენტოში შემოვიდა 5,756 მომართვა; აქედან 5,222 შემთხვევაში გაიცა თანხმობა; ხოლო გახმობილი, უარყოფილი და განუხილველი მომართვების რაოდენობამ კი 534 შეადგინა. ქვემოთ მოცემულ N20 და N21 დიაგრამებზე მოცემულია სტატისტიკური მაჩვენებლები გამარტივებული შესყიდვების საფუძვლებისა და სტატუსების მიხედვით.

დიაგრამა N 20: eProcurement სისტემის გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების ელ.- მოდულში შემოსული განცხადებების განაწილება მიმართვის საფუძვლის მიხედვით



დიაგრამა N 21: eProcurement სისტემის გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების ელ.-მოდულში შემოსული განცხადებების განაწილება მიმართვის სტატუსების მიხედვით



აღნიშნული დიაგრამიდან იკვეთება, რომ დადებითი პასუხი გაცემულია მომართვების 91%-ზე, ხოლო 9% შეადგინა იმ მომართვების წილმა, რომლებიც არ დაკმაყოფილდა.

2020 წელს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სააგენტოში მომართვისა და სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკური მონაცემები მოცემულია ცხრილი N20-ში.

ცხრილი N20: eProcurement სისტემის გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების ელ.-მოდულში შემოსული განცხადებების დეტალური სტატისტიკა

შესყიდვის საფუძველი	თანხმობა	უარყოფა	გაწუხლილველი	გახმობილი	სულ
გადაუდებელი აუცილებლობა	2,521	19	83	214	2,837
ექსკლუზიური უფლებამოსილება	866	2	25	43	936
ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება	215	-	3	27	245
ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება	75	2	8	19	104
შეთანხმება გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ	1,545	-	24	65	1,634
ჯამი	5,222	23	143	368	5,756

6. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და სასამართლო დავები

2020 წელს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სამართალდარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით მომზადებული 30 მოხსენებითი ბარათის შესწავლის შემდგომ, განხორციელდა მათში აღწერილი ქმედებების კვალიფიკაცია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლებით და გაგზავნილი იქნა წერილობით შეტყობინებები შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის. განხილვის შედეგად შედგენილ იქნა და სასამართლოს გადაეგზავნა 30 სამართალდარღვევის ოქმი, 87 სხვადასხვა თანამდებობის პირის მიმართ. 86 პირის მიმართ სასამართლო შემოიფარგლა გაფრთხილებით, 1 პირის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო განხილვა.

2020 წელს, სააგენტოს მონაწილეობით ჩატარებული სასამართლო პროცესების რაოდენობა შეადგენს 501-ს. სააგენტოს მიერ მომზადებული იქნა 24 კერძო საჩივარი, რომლებიც ამჟამად განხილვის ეტაპზეა. 1% გარანტიის დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარდგენილი იქნა 16 სარჩელი; ასევე, წარდგენილ იქნა 16 კერძო საჩივარი ამავე საკითხზე. 1% გარანტის დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით წარდგენილი იქნა 7 სარჩელი, რომელიც გასაჩივრებული იქნა ადმინისტრაციული წესით (განსჯადობის მიხედვით), მათგან ერთი სარჩელის განხილვა დასრულდა სააგენტოს სასარგებლოდ, 5 საქმეზე კი - მიმდინარეობს სასამართლო პროცესები. ასევე, დადგენილი წესით დაყენებულ იქნა საკითხი სააგენტოს ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების შესახებ, რომელიც დააკმაყოფილა სამოქალაქო ინსტანციის სასამართლომ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გაათავისუფლა სახელმწიფო ბაჟისგან.

აღსანიშნავია, რომ შავ სიასთან დაკავშირებით სასამართლოში გასაჩივრებული იქნა 96 განკარგულება. ყველა მათგანი დასრულდა სააგენტოს სასარგებლოდ. ამასთან, სასამართლოში გაგზავნილი იქნა 130 განცხადება მიმდინარე საქმეების კანონიერ ძალაში შესვლასთან დაკავშირებით. მიღებული პასუხების საფუძველზე, კომპანიები დარეგისტრირდენ შავ სიაში დარჩენილი ვადით. გარდა ამისა, გასაჩივრებული იქნა დავების საბჭოს 19 გადაწყვეტილება, რომელთაგან მხოლოდ ერთი საქმის შემთხვევაში სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოთხოვნა. ამასთან, გასაჩივრებული იქნა 6 კონსოლიდირებული ტენდერი და მიმდინარეობს მათი განხილვა. ასევე გასაჩივრებული იქნა 1 განკარგულება თეთრ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რომელიც დამთავრდა სააგენტოს სასარგებლოდ. საგულისხმოა, რომ გასაჩივრებული იქნა 3 გადაწყვეტილება SMP მოდულის საშუალებით გაცემული გამარტივებული თანხმობის თაობაზე, რომელიც სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე შეწყვეტილ იქნა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა სააგენტოს მიერ წარდგენილი 4 კერძო საჩივარი, ასევე, 5 სააპელაციო შესაგებელი. სასამართლოში არის გაგზავნილი 3 საკასაციო საჩივარი, რომლებზეც ამ ეტაპზე არ არის შემოსული განჩინება.

7. „თეთრი სიის“ წარმოება

2020 წელს, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებლის რეესტრში, ე.წ. “თეთრ სიაში “ეკონომიკური ოპერატორების დარეგისტრირებას თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების ჯამურმა რაოდენობამ 181 შეადგინა. რეგისტრაციასთან და რეგისტრაციის გაგრძელებასთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ მიღებული იქნა ჯამში 138 გადაწყვეტილება, უარი ეთქვა 15 შემთხვევაში, ხოლო განუხილველად დარჩა 28 შემთხვევა, რომელთა დეტალური მონაცემები ასახულია N 22 დიაგრამაზე.

დიაგრამა N22: 2020 წელს „თეთრ სიაში“ რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების განაწილება სტატუსების მიხედვით



8. „შავი სიის“ წარმოება

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ახორციელებს არაკეთილსინდისიერ მიმწოდებელთა რეესტრის, ე.წ. „შავი სიის“ წარმოებასაც.

„შავ სიაში“ მიმწოდებლების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, სააგენტოში წარმოდგენილი იქნა 598 მომართვა. აქედან 434 შემთხვევაში მიმწოდებლები სააგენტოს მიერ დარეგისტრირდნენ „შავ სიაში“, ხოლო 113 მიმწოდებელს მიეცა გაფრთხილება. გადაწყვეტილებების დეტალური შედეგები ასახულია N23 დიაგრამაზე.

დიაგრამა N23: 2020 წელს „შავ სიაში“ რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების განაწილება სტატუსების მიხედვით



9. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მონიტორინგი

შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, 2020 წელს განხორციელდა eProcurement სისტემაში ინტეგრირებული სერვისის - ავტომატური შეტყობინებების საშუალებით სხვადასხვა რისკ-ფაქტორებისა და კრიტერიუმების მიხედვით გაფილტრული „ხელშეკრულება დადებულია“ სტატუსის მქონე 11,841 (2019 წელს - 13,414) და „შეწყვეტილია“, „არ შედგა“ და „დასრულდა უარყოფითი შედეგით“ სტატუსის მქონე 1,060 (2019 წელს - 1,678) ელექტრონული ტენდერის სრულფასოვანი მონიტორინგი.

ამასთან, 6,494 (2019 წელს - 8,067) ტენდერში განხორციელდა პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის შესაბამისობა, სისტემაში დისკვალიფიკაციის დაფიქსირებისთანავე, კერძოდ, შემოწმდა რამდენად შეესაბამებოდა სისტემაში მითითებული დისკვალიფიკაციის საფუძველი შესაბამისი ოქმით მიღებულ გადაწყვეტილებას, რათა შეუსაბამობის შემთხვევაში eProcurement სისტემას შეცდომით არ გაეგზავნა შეტყობინება პრეტენდენტის საგარანტიო თანხის ჩამოჭრა-დაბრუნებასთან დაკავშირებით. ასევე, გადამოწმდა ტენდერის შეწყვეტის შესაბამისობის საკითხი, კერძოდ, ტენდერის შეწყვეტის ოქმში რამდენად ადეკვატურად იყო ასახული მოცემული ტენდერის შეწყვეტის განმაპირობებელი გარემოებები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, განხორციელდა eProcurement სისტემის CMR მოდულში ატვირთული 48,319 ხელშეკრულების (2019 წელს - 74,307), აგრეთვე გამოცხადებული 42 კონკურსის მონიტორინგი (2019 წელს - 70).

გამოვლენილ დარღვევებზე შემსყიდველ ორგანიზაციებს გაეგზავნათ 1,593 წერილი. 28 შემსყიდველ ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით, სადაც გამოიკვეთა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემადგენლობა, მომზადდა სათანადო მოხსენებითი ბარათები, კანონმდებლობით დადგენილი წესით საქმისათვის შემდგომი მსვლელობის მისაცემად, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში სააგენტო შემოიფარგლა წერილობითი მითითებით-რეკომენდაციით.

მონიტორინგის პროცესის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, მომზადდა ცვლილებები რისკფაქტორების ავტომატური შეტყობინებების სისტემაში, სახელდობრ, რისკფაქტორების ჯგუფებს დაემატა ახალი რისკფაქტორები, ასევე, დაკორექტირდა მასში შემავალი კრიტერიუმები.

10. ადამიანური რესურსების განვითარება

პანდემიით შექმნილი საგანგებო ვითარების გათვალისწინებით, სააგენტოს სასწავლო ცენტრის მიერ იდენტიფიცირებულ იქნა რამოდენიმე მიზნობრივი ჯგუფი, რომლებიც საჭიროებდნენ სპეციალიზებულ დატრენინგებას. შესაბამისად, 2020 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, გარდა საბაზისო სასწავლო კურსისა, ასევე განხორციელდა ტრენინგები სამი განსხვავებული პროგრამით:

- "სახელმწიფო შესყიდვების კურსი ტელესკოლაში";
- "სახელმწიფო შესყიდვების სპეციალიზებული კურსი პროკურატურისთვის";
- "სახელმწიფო შესყიდვების დისტანციური სწავლების კურსი".

2020 წელს ჯამში გადამზადდა 378 მსმენელი, კერძოდ:

- 20 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით, სასწავლო ცენტრმა "სახელმწიფო შესყიდვების საბაზისო კურსის" ფარგლებში გადაამზადა და კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი გადასცა 39 სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტს;

- 22 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით, სასწავლო ცენტრმა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მხარდაჭერით განახორციელა სატელევიზიო საგანმანათლებლო პროექტი - "სახელმწიფო შესყიდვების კურსი ტელესკოლაში". ტელესკოლის გადაცემების ციკლი მოისმინა და უყურა ათასობით მომხმარებელმა, შემსყიდველმა, სტუდენტმა, სხვა დაინტერესებულმა აუდიტორიამ; აქტიურ მსმენელად კი დარეგისტრირდა 155 უკვე პროფესიულად დაინტერესებული მაყურებელი;

- 14 ივლისიდან 23 ივლისის ჩათვლით საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებთან ჩატარდა ონლაინ კურსი "სახელმწიფო შესყიდვების სპეციალიზებული კურსი". დისტანციური სწავლების თითოეულ ნაკადზე წარმოდგენილი იყო 20 მსმენელი; ჯამში მომზადდა 40 მსმენელი. ტრენინგების ეს ახალი ციკლი მოიცავდა ახლებურად დაგეგმილ 10 თემატურ მეცადინეობას, ხოლო მეთერთმეტე სესია დაეთმო კითხვა-პასუხის რეჟიმს;

- 16-დან 20 ნოემბრის, 24-დან 28 ნოემბრის, 30 ნოემბრიდან 4 დეკემბრის, 7-დან 11 დეკემბრის, 14-დან 18 დეკემბრისა და 21-დან 25 დეკემბრის ჩათვლით, სასწავლო ცენტრში ჩატარდა ონლაინ ტრენინგების ციკლი „სახელმწიფო შესყიდვების დისტანციური სწავლების კურსი“ სახელმწიფო უწყებებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებისათვის. თითოეულ ნაკადს ესწრებოდა 24 მსმენელი, ჯამში გადამზადდა 144 სპეციალისტი.

ტრენინგებს უძღვებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მაღალკვალიფიციური ტრენერები.

11. მომხმარებელთან საქმიანი კომუნიკაცია

2020 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დოკუმენტბრუნვამ (შემოსული და გასული წერილების რაოდენობამ) შეადგინა 12,366 (2019 წელს ეს ციფრი შეადგენდა 14,446). აგრეთვე, სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე (info@procurement.gov.ge) შემოვიდა და მსვლელობა მიეცა 2,457 წერილს. ხოლო დაარქივებული წერილების რაოდენობამ 514 შეადგინა (2019 წელს - 1,585).

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს ამომწურავი და კომპეტენტური პასუხი მიიღოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში არსებულ სატელეფონო „ცხელ ხაზზე“– +995322484822. 2020 წლის განმავლობაში სააგენტოს “ცხელ ხაზზე” შემოვიდა და პასუხი გაეცა 20,637 ზარს (2019 წელს - 20,298).

eProcurement სისტემაში ჩაშენებული მოკლე ტექსტური შეტყობინებებისა (SMS) და სისტემური შეტყობინებების მეშვეობით, ასევე ვებ-პორტალის spa.ge სერვისების მეშვეობით, სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებულ პირებს საშუალება ეძლევათ მუდმივ რეჟიმში იყვნენ ინფორმირებული ცვლილებების, განცხადებების, ახალი რეგულაციების შემოღებისა და სხვა სერვისების მოხმარების შესახებ. ასევე, ყველა მომხმარებელს ეძლევა საშუალება მიიღოს დროული და ამომწურავი ინფორმაცია მათთვის საინტერესო ტენდერების შესახებ. მხოლოდ 2020 წელს გაგზავნილი სისტემური შეტყობინებების ჯამურმა რაოდენობამ დაახლოებით 40 მილიონამდე შეადგინა, ხოლო მოკლე ტექსტური შეტყობინებების რაოდენობამ კი 206 ათას გადააჭარბა.

12. საერთაშორისო ურთიერთობების ინტენსიფიცირება

2020 წელი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის დატვირთული და ნაყოფიერი აღმოჩნდა როგორც საერთაშორისო თანამშრომლობის, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით. გაიმართა არაერთი ონლაინ სამუშაო შეხვედრა, კონსულტაცია, ტრენინგი, სემინარი და კონფერენცია. კერძოდ:

- 2020 წლის განმავლობაში, პერიოდულად მზადდებოდა სააგენტოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კვარტალური და წლიური გეგმები და ანგარიშები, მათ შორის, ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების და DCFTA, OGP, PFM, PAR რეფორმების ფარგლებში;

- 2020 წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან „საჯარო დანახარჯებისა და ანგარიშვალდებულების შეფასების“ (PEFA) და OECD „ანტი-კორუფციული ქსელის შეფასების მეხუთე რაუნდის“ ფარგლებში.

- შესაბამისი რეფორმების კომპონენტების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე და შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი მრავალი საკოორდინაციო საბჭოსა თუ კომისიის მუშაობაში.

- 2020 წლის განმავლობაში, სრულიად ახალ და გართულებულ რეჟიმში მოუწია სააგენტოს თანამშრომლობა EU Twinning ინსტრუმენტის ფარგლებში მიმდინარე ევროკავშირის პროექტთან. სააგენტოს მოუწია დაბრკოლებების გადალახვა, ერთის მხრივ, მოლაპარაკებების წარმართვის დროს პროექტის ავსტრიელ და სლოვენიელ პარტნიორებთან და თბილისში ევროდელეგაციასთან, ხოლო, მეორეს მხრივ, გართულებული კოორდინაციის კუთხით თვითონ ამ პროექტის ბენეფიციარების ჩართულობის კუთხით. წარიმართა მრავალი აქტიობა მიმდინარე გეგმების, ბიუჯეტის და მოსალოდნელი შედეგების კორექტირების მიზნით, გადაიდო სასწავლო ვიზიტები და კონფერენციების/ტრენინგების ციკლი თბილისში, 2021 წლის თებერვალი-მარტისთვის დაიგეგმა რამდენიმე მსხვილი ღონისძიება და კონფერენცია.

- 2020 წლის განმავლობაში გრძელდებოდა და დასრულდა მუშაობა საჯარო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის ახალ პროექტზე, უკვე აისახა საერთაშორისო ორგანიზაციების (მ.შ. EU Twinning, OECD/SIGMA, UNEP, UN WOMEN, UNECE, UN ILO) და IFIs შენიშვნები და კომენტარები კანონპროექტთან დაკავშირებით.

- ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოების კუთხით, ასევე აღსანიშნავია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით მომზადებული საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ადმინისტრაციული ორგანოებისთვის განკუთვნილი „სამაგიდო წიგნი-სახელმძღვანელო“ (Handbook “Key Judicial Skills and Competencies: A Handbook for

Members of Procurement Review Tribunals" localised for Georgia), რომელიც უზრუნველყოფს დავების განხილვის საბჭოს ახლად არჩეული წევრებისათვის, აპარატის თანამშრომლებისათვის და ყველა სხვა დაინტერესებული თუ ჩართული პირისთვის საჭირო ცოდნისა და ინფორმაციის უნიკალურ წყაროს.

- 2020 წლის 24 ნოემბერს გაიმართა „ვებინარი" თემაზე „GPA-ში გაწევრიანების გზა". "ვებინარი" ორგანიზებული იყო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ, სადაც მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს და სხვა კანდიდატი ქვეყნების მზაობა GPA შეთანხმებაში გაწევრიანებისათვის. შეხვედრაზე მონაწილეებმა გაცვალეს ინფორმაცია GPA-ს მოთხოვნების თავსებადობის თაობაზე და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან დაკავშირებით.

- WTO GPA კომიტეტთან და EBRD-სთან თანამშრომლობის კუთხით, ასევე აღსანიშნავია 2020 წელს სრულიად ახალი დიაგნოსტიკური ანგარიშის მომზადება - "GPA Compliance Assessment: a review of the public procurement legal framework of selected GPA Observers", რომლის საბოლოო რედაქცია გამოქვეყნდება და ფართოდ გავრცელდება 2021 წლის იანვარში და რომელიც მნიშვნელოვნად დაეხმარება საქართველოს მხარეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შესაბამის სტრუქტურებში გაწევრიანების მოსალოდნელ რთულ გზაზე.

- 2020 წლის 18 ნოემბერს გაიმართა WTO GPA კომიტეტის ვირტუალური სემინარი, GPA კომიტეტის ახალი კანდიდატების, წევრებისა და დამკვირვებელი ქვეყნებისთვის (მ.შ. საქართველოსთვის). შეხვედრის მიზანი იყო ახალი დელეგატების მხარდაჭერა, რათა მათ უკეთესად გამოიყენონ კომიტეტის შეხვედრები თავიანთი ქვეყნის სასარგებლოდ. სემინარზე მონაწილეები გაეცნენ კომიტეტის მუშაობის პრინციპებს, პრაქტიკულ ინფორმაციას კომიტეტში ცირკულირებადი დოკუმენტებისა და ონლაინ საინფორმაციო საშუალებების შესახებ. შეხვედრა ასევე დაეთმო GPA შეთანხმების ახალი წევრი ქვეყნების დელეგატების გაცნობას.

- სააგენტო 2020 წელსაც აგრძელებდა ნაყოფიერ თანამშრომლობას Open Contracting Partnership (OCP), UK-based საერთაშორისო ორგანიზაციასთან. სააგენტო, OCP მხარდაჭერით, მუშაობს ქართულ საჯარო შესყიდვებში მსოფლიოში მოწინავე, ინფორმაციის ღიაობის ახალი მიდგომების და ახალი სტანდარტების (Open Contracting Data Standard (OCDS) დანერგვის კუთხით. ახალ სპეციალურ ვებგვერდზე opendata.spa.ge, უკვე გამოქვეყნებულია 2011-2019 წლების ტენდერების მონაცემები ე.წ. machine readable, JSON-ფორმატში როგორც აგრეგირებული სახით, ასევე ცალკეული შესყიდვების შესახებ. ასევე, მუშავდება და მალე გამოქვეყნდება შემსყიდველი ორგანიზაციების 2021 წლის ელექტრონული გეგმები ამ ახალ ფორმატში (eProcurement სისტემის ePlan მოდულის 2021 მონაცემები OCDS-ფორმატში). სააგენტომ, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, უკვე შექმნა ახალი, OCDS სტანდარტის, ვიზუალიზაციის სპეციალური ვებგვერდი vod.spa.ge; ასევე გრძელდება სამუშაოები აპლიკაციის პროგრამული ინტერფეისის (API) უფრო ფართოდ გამოყენებაზე, რაც საშუალებას მისცემს ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონდეთ პირდაპირი წვდომა საქართველოს საჯარო შესყიდვების თაობაზე ყველა სახის ღია მონაცემებზე. Open Data მიმართულებით სამუშაოებს სამთავრობო კოორდინაციას უწევს იუსტიციის სამინისტროს ახლად შექმნილი სააგენტო -

ციფრული მმართველობის სააგენტო, ხოლო საჯარო შესყიდვების მონაცემების ღიაობას და ახალი მიდგომების გამოყენებას აქტიურად უჭერს მხარს OGP საქართველოს სამდივნო და PAR საბჭო (ორივე ამ მიმართულებას კოორდინაციას და ფასილიტაციას უწევს მთავრობის ადმინისტრაცია).

- სააგენტომ, ეკონომიკისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების მონაწილეობით, გამართა მოლაპარაკებები ბრიტანეთის (UK) მთავრობასთან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების თაობაზე. მოლაპარაკებები ეხებოდა ვაჭრობის შეთანხმებაში მონეტარული ზღვრების ცვლილებას, რომელიც თანხვედრაშია ევროკავშირის მონეტარულ ზღვრებთან. განახლდა შეთანხმების დანართი, რომელიც უნდა დაამტკიცოს საქართველო-ბრიტანეთის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორუმმა.

- სააგენტო აგრძელებს ნაყოფიერ თანამშრომლობას აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის (CLDP) პროგრამასთან. 2020 წლის თებერვალში გაიმართა ორდღიანი სამუშაო შეხვედრა, რომელიც ეხებოდა „გამჭვირვალე და ეფექტიან საჯარო შესყიდვებს“. შეხვედრას ესწრებოდნენ სააგენტოსა და მსხვილი შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის წამყვანი ექსპერტები, რომლებმაც სემინარის მონაწილეებს გაუზიარეს საჯარო შესყიდვების მოწინავე პრაქტიკა აშშ-სა და ევროპაში.

- 2020 წლის იანვარში, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან თანამშრომლობით, სააგენტომ ჩაატარა საერთაშორისო სემინარი თემაზე „ინოვაციები და მდგრადი საჯარო შესყიდვები“. სემინარი ჩატარდა EU Twinning-ის პროექტის მხარდაჭერით. სემინარს ესწრებოდნენ სახელმწიფო უწყებების, უნივერსიტეტების, ბიზნეს ასოციაციების და სტარტაპების წარმომადგენლები. სემინარზე მოწვეულნი იყვნენ ავსტრიის საჯარო შესყიდვების ფედერალური უწყების ექსპერტები, რომლებმაც სემინარის მონაწილეებს გააცნეს საჯარო შესყიდვებში ინოვაციური პრინციპების დანერგვის გამოცდილება.

- 2020 წლის განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე ათეულ საერთაშორისო სემინარში, რომლებიც გაიმართა ძირითადად ე.წ. „teleworking“ რეჟიმში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით. რამდენიმე ასეთ საერთაშორისო ღონისძიებაზე (on-line seminars/workshops) სააგენტოს წარმომადგენლები წამყვანი სპიკერის ან ძირითადი მომხსენებლის როლშიც იყვნენ.

- 2020 წლის 16 სექტემბერიდან - 9 ოქტომბრამდე განხორციელდა ევროკავშირის საბიუჯეტო მხარდაჭერის პროგრამის (Economic Governance and Fiscal Accountability - EU4EGFA) შემფასებელი მისიის ონლაინ შეხვედრები, პროგრამაში ჩართული საქართველოს მთავრობის უწყებებთან. მისიის შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა პროგრამის სამი ძირითადი მიმართულების შეფასება. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად არის ჩართული EU4EGFA-ის პროგრამის განხორციელებაში, რის შესახებაც მოხდა შემფასებელი მისიის ინფორმირება, აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებით.

- 2020 წლის 7 ოქტომბერს გაიმართა WTO GPA კომიტეტის სხდომა ონლაინ პლატფორმის მეშვეობით, სადაც დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლებმა. შეხვედრაზე განიხილეს WTO GPA-ის განახლებული შეთანხმების ძალაში შესვლისა და განხორციელების საკითხები.

- 2020 წლის 19 ოქტომბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, ევროკომისიის წარმომადგენლებთან გაიმართა დისტანციური შეხვედრა. შეხვედრა შეეხებოდა ევროკავშირთან ასოცირების 2021-2027 წლების დღის წესრიგის ახალი რედაქციის ჩამოყალიბებას, რაზედაც ევროკომისიის წარმომადგენლებმა გამართეს პრეზენტაცია.

- 2020 წლის 3-5 ნოემბერს გაიმართა აზიის განვითარების ბანკის ყოველწლიური კონფერენცია „აზია - წყნარი ოკეანის ქვეყნების საჯარო შესყიდვები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა. კონფერენცია გაიმართა ონლაინ პლატფორმის მეშვეობით, შეხვედრის მონაწილეებმა გაუზიარეს გამოცდილება ელექტრონული საჯარო შესყიდვების სისტემის განვითარების და მოწინავე გამოცდილების შესახებ.

- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტთან „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ თანამშრომლობით, დაიწყო საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც აქტიურად არის ჩართული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. აღნიშნულთან, დაკავშირებით, 2020 წლის 22 დეკემბერს გაიმართა ონლაინ სამუშაო შეხვედრა, რომელიც დაეთმო არსებული სიტუაციის ანალიზს ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირებას და პრიორიტეტების განსაზღვრას, რომელიც საფუძვლად დაედება ახალ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას.

- 2020 წლის განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო განაგრძობდა აქტიურ თანამშრომლობას ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ, ახალი რეგიონული ინიციატივის ფარგლებში (EU4Environment) მიმდინარე პროექტთან, რომლის მიზანია მწვანე ინვესტიციების წახალისების მიზნით, ინოვაციური პროდუქტების და ტექნოლოგიების დანერგვა. აღნიშნული ინიციატივის ერთ-ერთი კომპონენტი ითვალისწინებს მდგრადი საჯარო შესყიდვების კონცეფციის შემუშავებას, რომელიც იქნება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მწვანე ეკონომიკის განვითარების მიზნით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მომზადდა რამდენიმე საკანონმდებლო აქტის პროექტი; მიმდინარეობს იმ საპილოტე CPV კოდების იდენტიფიცირება, რომლებზეც გავრცელდება მდგრადი საჯარო შესყიდვების პრინციპები.

Round Table
Innovation & Sustainability in Public Procurement
IDEA

EU Twinning Project for "Strengthening Public Procurement Practices in Georgia"
IMPLEMENTING EU INSTITUTIONS

Agenda
Time
Agenda Item
Speakers
Welcome address
Lunch Break






g
tallen
David Jaiani

13. პარტნიორებთან თანამშრომლობა

Delegation of the European Union to Georgia

EU4Environment
Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Republic of Moldova, Ukraine

European Commission

OECD
BETTER POLICIES FOR BETTER LIVES

THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

UNIDO

DFID Department for International Development

European Investment Bank

International Labour Organization

CLDP
COMMERCIAL LAW DEVELOPMENT PROGRAM

UNECE

UN environment programme

European Bank for Reconstruction and Development

Sida

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

TAIEX

TWINNING

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

UNDP

WORLD TRADE ORGANIZATION

SIGMA

NATO OTAN

UNOPS

ADB Asian Development Bank
FIGHTING POVERTY IN ASIA AND THE PACIFIC

UKaid from the British people

გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz

Centre for International Migration and Development
a joint operation of GIZ and the German Federal Employment Agency